

7170

წ. 40 308

F 75
1924

1924

ჩემი მშენებელი



საბავშვო გამომცემლობა.

524

საქართველოს
საბავშვო



წელიწადი გე-XX № 1 იანვარი 1974 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართვე-
ლობის და ახალგაზრდათა კომპარტ. ცენტრ. კომიტ. შ.რ.ს. გვერდობით

248



ვ. ი. ლენინი ბავშობაში

შინაარსი:

1. ვ. ი. ლენინი ბავშვობაში, — სურ.	1
2. ვლადიმერ ილიასძე ლენინი, — მ. კახორელისა . . .	3
3. ძვირფასი შამა ლენინი, — ლექსი ს. ერ — ლი — სა . . .	6
4. თამროს ოცნება, — გუგუა ნარვილისა	7
5. თოვლის ბაბუა, — ლექსი ილ. სიხარულიძისა	21
6. ქამელეონი — დიომიდე ანთაძისა	23
7. ღამე სოფლად, — ლექსი გ. ტუქსიშვილისა	28
8. ბავშვთა შემოკმედება: ა) დილა ნაძვის ტყეში ბ) ზამთარი.	30
9. გასართობი: ჩქარა გამოსათქმელი ახირებული კითხვები. გამოსაკნობი კვადრატი, როგორ იღვენი ცხვრები, სახუმარო ამოცანა	32

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი



ოცდაერთ იანვარს
გარდაიცვალა ვლადი-
მერ ილიას ძე ლენინი.

ოცდაერთმა იანვა-
რმა თავზარი დასცა
მშრომელ ხალხს.

ვინ იყო ლენინი?

რად გლოვობს მას
ასე გულწრფელად მთე-
ლი მსოფლიოს მშრო-
მელი ხალხი?


იმიტომ რემ, ის იყო
მშრომელი ხალხის ნამ-
დვილი მეგობარი, ის
იყო მისი გზის მანვე-
ნებელი!

ლენინი ხედავდა,
რომ დიდი უმეტესობა
მუდამ შრომობდა, მაგ-
რამ მაინც მშვიერი იყო,
უმცირესობა კი არა-
ფერს აკეთებდა და დლი-
თიდღე მდიდრდებოდა.

ეს უსამართლობაა
და ლენინი ებრძოდა
მას.

მდიდრებს არ უყვარ-
დათ ის, მეფის პოლიცია
სდევნიდა, მაგრამ და-
ქვრამ, ციხეში ჯდო-
მამ, გადასახლება-
ვერ შეაშინა.

ის დადიოდა მუშებს
თვალს უხეღდა, უსამა-
რთლობის დასაშობად
მოუწოდებდა...





იცოდა ლენინმა, რომ ძლიერი იყო მეფის მთავრობა, იცოდა, რომ შეუგნებელი იყო მუშების უმეტესი ნაწილი, იცოდა, რომ დადი, ძალიან დიდი შრომა იყო საჭირო,—და



მედგრად მიდიოდა დასახულ მიზნისკენ, აღვიძებდა მუშების შეგნებას, ძირს უთხრიდა საზიზღარ თვითმპყრობელობას!

არ უნდა იყონ ბატონები და მოწინააღმდეგეები!

არ უნდა იყონ მამკრები და მშვიდობისმოყვარეები!

არ უნდა იყონ ქუჩაში მოწანწალე, მშვიერი, მტირალი ბავშვები!

ამბობდა ლენინი და მუქთახორებს ამით ძილს უფრთხობდა.

54 წლის გარდაიცვალა ის და მთელი ძალ-ღონე მშრო-

ლენინი გიმნაზიელი.


მელი ხალხის კეთილდღეობას შესწირა!

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია!“—

და არც ლენინი მომკვდარა: ის მუდამ იცოცხლებს მშრომელი ხალხის ხსოვნაში!

შ. კახორელი





Յ Ո Յ Ն Ն Ո .
(1870 — 1924).



მეირფასი მამა—ლენინი

გარდაიცვალა მეირფასი მამა!—
მწუსრი ჩამოწვა მშრომელთ ბაღნარში;
კომუნის ვარდნი ცრემლმა დანამა,
სამკლოვიარო გაისპის მარში!..

მეირფასო ურმანო,— ის იყო თვით მზე,
ეველა ჩაგრული იმისთვის კენესის;
უფრო ჰსარობდა თქვენსა ციმციმზე,
და დიდ ბრძოლებში დაეცა დღეს ის!..

ბავშვო, შემოკრბით, ია-ვარდები
საუფარველ მოძღვრის საფლავს დაჰქარეთ!
ჰაწია გულთა აღაქვარდებით
და მოწიწებით თავი დაჰხარეთ!

მიეცით ფიცა—როს გაიზარდოთ,
მოებათ წითელ ვარსკვლავის ფრთებზე;
და შურისკებით გაინაჯარდოთ
შრომის ქვეყნების მოსისხლე მტრებზე!

სიონს ჩურჩულით ტკბილი ნექტარი
დიდ კომუნარის, არვის ელიოს!
მაშინ ლენინის ხსოვნა ნექტარი
ო, გეტევით ლოცვას საამსოფლიოს!



(სურათი ძველი ცხოვრებიდან)

ზამთრის ზიწი იყო. ბურუსიანი ბინდი მძიმედ ეწარებოდა სოფელ თორნეულს და სიბნელეში ახვევდა.

მოღრუბლული ცა ზირქუშად გამოთეურებოდა და ცივი ქარი უსიამოვნოდ სისინებდა. ჩაბნელებულ, ჩაშავებულ სახლების ჰატარა სარკმლებიდან მღვრიე, მკრთალი შუქი ბეუტავდა.

სოფლის განაპირას, კარგად მოშორებით მდგომ ჰატარა მიწური ქოხის ერთადერთ ფანჯრიდანაც სუსტი, გაცრეცილი ციცინათელა გამოკრთოდა.

ამ მიწურ ქოხში, კრძელ, ჭილობ გადაფარებულ ტახტზე, რომლის ზემო კუთხეშიაც დამონძილი ლოკინი ეწეო, გამურული ჭრახი ენთო და საცოდავად სრწოლავდა... გაქონილი ქალადის ნაგლეჯით გამოკრულ ფანჯრის წინ, ძველი, დაფხავებული სკივრი იდგა, ცოტა აქეთ კი, ჩაშავებულ ჰატარა ბუნარში ცეცხლი ენთო, რომლის ალიც მკრთალი, მოწითალო შუქით ანათებდა მთელ ქოხს. ცეცხლზე ჰატარა გამურული თიხის ქვაბი იდგა და კართოფილი ინარძებოდა. მიწურ კედლების ჭუჭრუტანებში კი ქარი ზუსუნით მღვროდა...

ბუხრის წინ ჰატარა სამფესა სკამზე ბებერი დედაკაცი იჯდა. მისი გამსდარი, დანაოჭებული სახე და მიძქრალი თვალების გამოხედვა რაღაც მოუთმენლობას და მწუსარებას გამოხატავდენ...

— ნეტავ რა იქნა ის გოგო... უკვე ბინდდება.. მერე

რბ ცივი ქარი ამოვარდა... ხომ სულ გაიუინებოდა... ლულ-
ლულეებდა ბებერი და კვლავ მოუთმენლად კარებისაკენ იუუ-
რებოდა ..

— რა ადრე გვიხამთრდება.. რა გვეძველება!. უცნაურად
შემოძვევების გული... რაღასაც ვგრძობ, რაღაც საძინელება-
ველი... ო! რა სახარლად ზუსუნებს ქარი... — დედაბერს
გაბეროვლა და ძძიძედ ამოიხუნება. მერე განავრძობ:— ნეტავ
კიორკამ იშოვა რამე დღეს თუ არა?.. დამხირდა კი, სელ-
ცარიელი არ მოვალო.. ცარიელი რომ მოვიდეს, რაღა უნდა
ქნათ.. ნეტავი ან მოჯახაგირედ დამდგარიუო ვისთანმე.
დღიური სამუშაოთი ვერასა ხდება საწუალი.. მეც ჯანი და
ღონე გამოძელა, რომ სხვას ან ზური დაუგერა, ან სარეცხი
გავურეცხო და ცოტა რამ მეც შემოვიტანო სახლში... სოფელზე
ასე დამორებით მაინც არ იეოს ეს ჩვენი ქოხი... არ ვიცი,
როგორ გადავურჩებით ამ ზამთარს...

დედაბერი ამ დამწუსრებულ ლაპარაკით იეო გართული
თავის თავთან, რომ კარი გაიღო და ქოხში ექვსიოდე წლის
გოგო შემოვიდა. დახეული კაბა ძლივს უფარავდა სიუელს;
ფეხებზე ხომ სულ არაფერი ეცვა... სახე გამხდარი და
გაცრეცილი ჰქონდა; ქერა თმები გასწეწოდა და უსწორ-მასწო-
როდ ევარა მხრებზე... თუ დაცქერდებოდით მის დიდროსს,
აცვიფნულს და ღრმა გამოძეტველებით გამომხირალ თუ-
ლებს, სიბრაღულს იგძნობდით მისდამი...

იგი დინჯად, დანაღვლიანებული შემოვიდა ქოხში და იქვე
კედელთან აიტუხა...

დედაბერმა აიხედა, დაინახა გოგო და აღერსიანად მიჰმართა:

— გოგო თამრო, სად იეავ აქამდე... რას დაწინწალებ;
ხომ ხედავ ცივა, ავად რომ განდე, შენი მოვლის თავი ვისა
აქვს, შვილო!.. მოდი, ცეცხლთან დაჯექ, გათბი, შეკციოდე-

ბოდა... მწერუნველობით დაუმატა დედაბერმა და ცეცხლს ერთი ღერი შემა კიდევ შეუკეთა.

თამრო. თითქოს დედაბრის სიტყვები ვერც კი გაიგო, ჩაფიქრებით მიუახლოვდა ცეცხლს, მიწურ იატაკზე ბუსრის ზირას დაჯდა და გაბტერებით ცეცხლს დააცქერდა...

— რა დაგემართა, გოგო, რა გარინდებულნი ხარ? — აღერსიანად ჩაეკითხა დედაბერი თამროს და თავზე სელა გადაუსვა...

— ცოტა ჰური არა გვაქ, დიდედო? — თავაუღებელივ შეეკითხა გოგონა და ნელა ამოიოხრა — იცი, დიდედო, ისეთი მშინ რო!..

— აბა საიდან გვექნება, შვილო, მწუნსარედ უნასუნსა დიდედამ, — რამდენი ხანია აღარც მამამესს მოუტანია ფეხილი და აღარც არავინ გვასესხა... თორემ შენ თვითონ არ კაბკ საფნი ხოლმე სასესხებლად!? აი, ძალე კართოფილი მოიხარშება და...

— ჰური მინდა, დიდედო, რბილი ჰური, — ნაწუნსად წაიღულღულა თამრომ და დიდედას შექედა, — კართოფილი რად მინდა... სულ შემჯავრდა კართოფილი.. რამდენი ხანია სულ კართოფილსა ვჭამთ... გული გამიწვალდა.

ამ სიტყვებთან თამრომ იდავეებზე თავი დაიურდნო და ისევ ფიქრს მიეცა.

— რა ვქნათ, შვილო, — ამოთხვრით მიუგო დიდედამ, — აბა რა წებლში ჩავცვივდეთ. შენ ისა სთქვი, რომ დღეს კართოფილიც გამოგველია — ეს უკანასკნელი შევდგი და ნეტავი რა გვემველება, თუ მამა შენმა დღესაც არაფერი მოიტანა...

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ქოხში მხოლოდ ქვების მხიარული ჩუხჩუნი და ქარის სვედიანი სტვენა ისმოდა...

— რა ვქნა, რატო ასე გაბტერებულხარ, გოგო? წამოიძახა ბოლოს დიდედამ და აღერსიანად და შიშით ჩაეკითხა:

— ხომ არაფერი გტკივა, შვილო?... რა ნაღვლიანადა ხარ თამრო? მოდი ჩემთან, მოდი, შვილო...

ამ სიტუვებთან დიდედამ თავისთან მიიზიდა შვილიშვილი და მხურვალედ აკოცა.

სად იუავი, რომ ეგეთი თვალგაშტერებული და დარდიანი მოსკვდი.. უნურობამ დაგაღონა, გენაცვალე?

თამარი გარინდებით ეკვროდა დიდედას და ეტუბოდა,



რადაც დარდი აწვებოდა გულზე. შემდეგ გამოცოცხლდა, თითქოს რადაც გადასწვევია გულშიო, გაბრწვინვებული თვალები დიდედას მიახურა, ხელები მხრებზე დაადო და ცოტახანს ასე უუერებდა...

— არა, დიდედო, — წარმოსთქვა ბოლოს, ზური არაფერი.. არც არაფერი

მტკივა.. იცი, ესლა მე მაიასთან ვიყავი, თებრუც იქ იყო... დიდედო, რომ იცოდე, ორთავეს ისეთი კარგი კუკნები ჰქავთ რომ... გუმინ შეუკერინებიათ. ისეთი ლამაზები არიან, დიდედო, ისეთი, რომ ვერ გეტყვი... აი, ამოდენები არიან და სასუ დილისა აქვთ... სუდ წითელი ძაფით თვალები, ცხვირი და ჰირი აქვთ დახატული... უკან, კეფაზე, სიმინდის თმები აქვთ ჩამოკიდებული, ვითომ ნაწნავებიანო... მაიას კუკნს ისეთი ლამაზი ჭრელი კაბა აქვია... ფეხებზე წინდებიც კი აცვია, დიდედო!..

თამრო ცოტა ხანს განუმადა, ამოითხრა და თვალები გაუშტერდა, დიდედა კი სვედიანად შეჭკურებდა.

— მე რომ მიველი, — განაგრძო გოგონამ, — მაიასთ სასლადს ღერეფანში თამაშობდენ. მე როდი მათამაშეს, დიდედო!..

ზედ არც კი მომხედეს. მითხრეს. ჩვენთან აღარ კათამბაშებთ, შენ კუკნი არა გეავსო... სულ განზე ვიდექი და ისე ვუუბრებდი. ხელში არც კი დამაჭერინეს... მერე მასხარადაც ამიგდეს—აი შე სიზანანთ მშიეროო... მაიამ სულ ცემით გამომაგდო და ასე მომაძახა—თუ კუკნი არ გეკოლება, ნულარ მოხვალ სათამაშოდო... ჩვენ ამას იქით სულ კუკნებით უნდა ვითამაშოთო და თუ გინდა შენ მარტოკამ ითამაშე ამას იქით კენჭობაო... რად მინდა მარტოკას კენჭობის თამაშობა!

თამარო გაჩუმიდა, დიდედანს შეხედა და ჩურჩულით წაიდუღუნა:

— რო წამოვევლ, დიდედო, გზაში იმდენი ვიტირე, როჴ... შე კუკნს ვინ შემიკერავს მეტიქი...

დიდედანს თვალებზე ცრემლები მოადგა და მსურვალედ ჩაიკრა გულში აბუჩად აგდებული შვილიშვილი...

—საწული კოგო! შენ კი გენაცვალოს დიდედა... აი ის სამაგლები, ისინი...—გრძობამორეგით ლულულებდა ბებერი.

— მხელია, დიდედო, კუკნის შეკერვა? დიდედო, გენაცვალე, ვერ შემიკერავ?...—უცბად წამოიძახა თამარომ და ზასუსის მოლოდინში დიდედანს დააცქერდა დიდრონი, ცისფერი თვალებით. — იმას ბებერი ნაკუწები სომ არ უნდა?... სულ ჰატარა კუკნი შემიკერე... სულ ერთი ბეწო... შემიკერავ?!

— რა ვქნა, შენი ჭირიძე!..—ცოტა ფიქრის შემდეგ უპასუხა დიდედამ, —საკუკნე ნაკუწები სადა გვაქ... საწული დედაშენის კაბა დავძალე და შენა და მამაშენს მოგასმარეთ... ცოტაოდენი მონებები-ლა დამჩა... აბა შენ კაბას შეჭხედე; ტიტველა ტანი რომ გიჩანს, მაგას დაკერება არ უნდა?... მამაშენს სომ ისე შემოებლუნა ხალათი, რომ იმას ქვევინის საკერებელი არ ეყოფა... აბა, კუკნი რით შევიკერო... ბარემ კი მინდა, რომ გულს არ დაგაკლდეს, მაგრამ აბა რა ვქნა, რა გიყო?!

— მე არა მცია, დიდულო... — სვეწით დაიწყო თამრომ; — რად უნდა ჩემ კაბას საკერებელი... მოდი იმ საკუწებისა, რომლებიც ჩემ კაბას უნდა დაადო — კუკნი შემეკერე!.. ჭაა დიდულო?..

— ძვილო, რა ვქნა, შენი ცოდვით ვიწვები, მაგრამ ის საკუწები შენ რომ არ დაკჭირდეს, მამაშენის ხალათსა და შარვალს არ ეყოფა... წარმოსთქვა დიდუდამ და კვლავ აღერსიანად ჩაისუტა გულში თამრო.

კიდევ სინუძე ჩამოვარდა... თამრო ისევ გარინდდა და ეტუობოდა რაღაზედაც ფიქრობდა.

ბოლოს ნელა აიღო თავი ძაღლსა და წარმოსთქვა:

— იცი, დიდულო... ის საკუწები სულ მამას ხალათს დააკერე... ცოდვაა მამა... შესცია, დახეული ხალათი რომ ჭქოქდეს... მე კი არა მცია და კაბაზე არც მინდა საკერებელი... იცი, ჩემ კაბას აი აქ ჩამოვაჭრათ და იმისი შემეკერე... რას იცინი, დიდულო!.. სულ ჰატარა კუკნი შემეკერე, რაც გამოვა!

რას ამბობ, გოგო; — დიმილით უხანუსა დიდუდამ — ისედაც დაფხრეწილი კონკმაკები გაცვია და ცალი კალთა რომ მოვაჭრათ, ხომ აღარაფერი დარჩება... რა ვქნა, არ ვიცი... ვნახოთ... კიდევ მოუძებნი სკივრში; იქნება გიპოვო რამე და შეგიკერო...

— მართლა, დიდულო? — შესარულად წამოიყვირა თამრომ და ტანისცემით სტუნვა დაიწყო. — შენ კი გენაცვალე, დიდულო! კოსტა სახე გამოუეგანე... დილილ მე!.. ხვალ მეც შეეოლება კუკნი.. ხვალაც არ მათამაშებენ თავიანთთან მათა და თებრუა?

თამრო აღტაცებასა და სიხარულს ეძლეოდა, დიდუდა ნაღვლიანად იღიმებოდა, როდესაც კარი გაიღო და ქოხში შემოვიდა გიორგი, — დიდუდას შეილი და თამროს მამა.



მას სურვსე ნახევრად სახე ფქვილის ჰატარა ტომარა ეკიდა. ტანისამოსი სულ მთლად დაგლეჯილი ჰქონდა, ძარვალი მუსლებამდე სველი, სახე გაფითრებული და გამხდარი, თვალები კი ავადმყოფურად, ღრმად ჩაცვივნილი.

— უუჰ!.. რა სუსხიანი ქარია! — წაიბურტუნა მან შემოსვლისთანავე და სკავრზე ფქვილის ტომარა დადო.

— აი, მოგიტანე დედი — ფქვილია... ვინმელო უაირთით იხმარო. დღიური სამუშაო გათავდა . აღარავისა აქვს საქმე... ზვალ ცოტას კიდევ წავიმუშავე და ზეგ კი უნდა ავიკიდო გუდა-ნაბადი და ქალაქში უნდა წავიდე, რომ რაიმე სამუშაო ვიძოვნო. თქვენც მოგაწვდით ერთ ლუკმა ზურს და მეც თავს გავიტან; რომ არ გავისარჯო, სულ შიმშილით გავწვდებით ამ ზამთარს... არაფერი არა გვაქვს? რა ძალიან მძინა, — დაუმატა მან ბოლოს და ცეცხლის ზირას ჩამოჯდა.

— როგორ არა, აი ცოტა კართოფილი მოვხარშე, — სთქვა დიდებამ და ცეცხლიდან ქვაბი გადმოდგა.

— გოგო, თამრო, მოდი აქ... გვერდი დაძიმებენე, ძვილო! — დაუმასა გიორგამ თამროს.

თამრო მიჰვარდა მამას, მოუჯდა გვერდით და თავი მხარზე მიაუბრუნა...

— იცი, მამილო, დიდებამ უნდა კუკნი შემიკეროს!.. გაბრწინებულის სახით მიჰმართა თამრომ მამას და დაწვრილებით უამბო თავისი კუკნის შეკერვის ამბავი... გიორგა გულდასმით უსმენდა თავის გოგონას და თან მწუნხარება ეხატებოდა სახეზე... ბოლოს ვეღარ მოითმინა და დიდებას მიუბრუნდა:

— დედი, აიდე და რაცნაკუნები გაქვს, კუკნი შეუკერე ჩემ გოგოს. კარგი ლამაზი კუკნი შეუკერე. ბაღლია... დაე გაიხაროს... მეც შეუოფა, რომ ჰატარაობითვე გაუნარებლად მოვტირი ჩემ წუთისოფელს... საცა აქამდე ვუძლებდი სიცი-

ვესა და სიტყვებს,—ახლაც გაუძღებ... ჩემ ხალხს არ უნდა დაკრება...

— რაებს ამბობ, შვილო!.. წამოიძახა დიდგამ და კართოფილით სავსე ჯამი გიორგას წინ დადგა.—აბა, რა ფერი გადევ... ლოყები სულ დაგლურჯებია... თვალები ჩაცხვივინია...



უი, დამიდგეს თვალები, ფეხები სულ სველი გაქ, სად დასველდი, შვილო?..

— დღეს მეწისქვილესა ვმველოდი დარუბის გამართვაში და მუხლებამდე წვალში ვიდექი... — ღრეჯით წარმოსთქვა გიორგამ.

— ძალიან ცივი წვალი კი იყო ი წვეული... ისე შემცივდა,

ისე, რომ სულ ვძაგბაგებდი. მერე გაუხურდი მუძაობაში, გახურებულ გულზე წვალი დავლიე და ძალიან უკუნებოდ გამსადა იმ ტიალმა... კარგ გუნებაზე ვერა ვარ რაღაც... აი აქ, გულთან მასრიალებს...

— მაშ რა მოგივიდოდა, მე კაი კაცო—წამოიყვირა შემინებულმა დიდგამ—გახურებულ გულზე წელის დაღევა ვის გაუგონია!

— ეექ!.. დედი! წარმოსთქვა გიორგამ და უზომო ჯაფისკან უდროოდ გატყისილ სახეზე მკრთალი დიმილი აუთამაშდა—ხომ გაგიგონია, დედი, „ძალი კოჭლობით არ მოკვდებოა;“ ეს არაფერია, გაივლის... აი ეს კართოფილი ვჭამოთ

და შენ ლოგინი გამიძალე, რომ ერთი კარგად დავიძინო...
 შერე კი გამოიდე შენი ნაკუწები და ამ გოგოს ერთი კოსტა
 კუკნი გამოუფანე; გულს ნუ ატყენ... ნუ დაჩანგვრინებ სწევებსა...

— კარგი, კარგი, შვილო; თბილად გაგიშლი, ბუხარსაც
 მაგრად გავასურებ და ამაღამ კარგი ოფლი იდინე—სულ
 ვაკვილის... მაგ გოგოსაც ამაღამვე შეეუფლანავ... წარმოსთქვა
 დიდებამ და ისიც კართოფილით სავსე ჯამს მიუჯდა... ევე-
 ლანი სჭაჰდენ.

— გოგო, თამრო!—მიუბრუნდა დიდება შვილიშვილს,
 წელან რომ არა ჰკადრულობდი კართოფილსა, რად მინდა,
 თბილი ჰური მინდაო, ახლა კარგად მიირთმევ?..

— რა ჟქა, დიდებო!.. შშიან და...—დარცხვენით წაი-
 ჩურჩულა თამრომ და მამის მკლავს ამოეფარა.

მუღალაძე უკვე გადასული იყო... ქოსში ისევ ისე ჭრახი
 ენთო და ამ სინათლეზე დიდება-და მოსჩანდა ბუხრის წინ
 საკერავით. იგი თამროს კუკნს უკერავდა; გიორგა და თამრო
 ტახტზე იწვენ და ეძინათ. ბუხარი ჩაფურფლილიყო... კედლის
 ჭურჭურტანებში ქარი ისევ სვედიანად უსტკვენდა... გიორგა დრო
 და დრო ბორკავდა და ჭირვეულად ახველებდა. ეტუობოდა,
 ძალიან გაცივებულყო და არც ისეთი უბრალო სატკივარი
 ჰქონდა. ბილში ახრიალებდა და სიცხისაკან დროგამო-
 შვებით ბოდავდა. შეძინებული დიდება ეურადღებით უურს
 უგდებდა მის სუნთქვას და დარდიანად თავს იქნევდა... გიორ-
 გა ცოტა ხანს დამშვიდდა... დიდება საკერავში იყო კართუ-
 ლი და რადსაც ზუსუნებდა.

— ჰკერავ, დიდებო?..—მოისმა უცებ ნამძინარევი ხმა იმ
 კუთხიდან, სადაც თამრო იწვა.

— ჰო!.. კკერავ.. დაწექ... მამაშენი არ გამოაღვიძო...
 ძლივს დამშვიდდა...—უზახუნა დიდებამ ჩურჩულით და გი-
 ორგასკენ გადაიხედა.

კიდევ კარგა ხანს ჰკერავდა დიდება. ბოლოს ისიც დაწვა, ჭრბაქი გაქრა და ქოხისი მდუმარება და სიბნელე გამეფდა... მხოლოდ გიორგა ბორგავდა მიღში;—ქარი უფრო მეტის ძალით უსტყუნდა კედლებში. შორს, ხადღაც სოფლის ორდობეში ვიღაცის ძალი სვედიანად ეშუოდა ..

ღრუბლიანი, გაცრეცილი დილა იყო.

სოფელ თორნეულის განაწირად—სულ მოძორებით ცალკე მდგომ ზატარა მიწურ ქოხის ეზოს ღობიდან, ზატარა, ექვსი წლის გოგონა გამოვიდა და სოფლისკენ გასწია.

გოგო მეტის-მეტად გამხდარი იყო; ფეხმიშველას, რაღაც კონკეპში გამოსვეულს—ზატარა, უმნოდ შეჯდანილი, გახუნებულ ნაკუწში გამოკრული დედოფალა ეწვა მარჯვენა მკლავზე, სედა ნახად დაჭურებდა, ჩაფიქრებით ილიმებოდა და თანაც ღიღინით რაღასაც სუსუნებდა.

უკვე მიჰხვდებოდათ, რასაკვირველია, თუ ვინ იყო ეს გოგონა! ეს თამრო იყო.

ოქტომბრის ცივი ნიაჟი შიკ სახეში უბერავდა და ისედაც დაუფარცხნავ და ქერა კულულებს უფრო უწევდა.

გსახე მოფენილი გორახები ფეხებსა სტკენდენ გოგონას, მაგრამ ის ამას ვერ ჰგრძნობდა. რადგანაც მეტის მეტად იყო გატაცებული თავის დედოფალას მხერით...

ბოლოს, როგორც იყო, გამტერებული თვალი მოაძორა ეშმაკურად ჩაიკისკისა, სოფლისკენ გაიხედა, ერთი მხიარულად შეიკრუნტრუმა და გაიქცა.

დიდხანს ირბინა თამრომ და როგორც იყო მიადწია სოფელში შესასვლელ ორღობეს.

— მაი...ი!—დაიჟვირა მან, იქვე, ახლოს ღობეზე გადასასვლელთან და თან გულის ფანცქალით და თვალების ბრწყინით გაჰხედა ღობის შიგნიდან მდგომ აივნიან ქვიტკორის სახლს.

— ვინ არი?—მოისმა ძაღალი სმა სახლიდან, შემდეგ კარებში შუა ხნის დედაკაცი გამოხდა და ღობისაკენ გა-
მოიხედა.

— შე ვარ... თამრო...—გაუბედავად უპასუხა თამრომ
და თავი ჩაღუნა

— მერე რომ შენა ხარ!.. რა გინდა?.. ჰური არ გვიდე
თქო, ასე უთხარი შენს დიდედან.. არ ვიცი რისთვისაც
მოხვიდოდი?!. — გაჯავრებით შემოსძასა დედაკაცმა, სახლისა-
კენ შეტრიალდა და ასე შეიღაპარაკა:—უოველ დღე მიგაქვთ
და აღარაფერი მოგაქვთ; ან რა უნდა მოიტანოთ, რაც არა
გაქვთ რა, თქვე უბედურებო..

თამრო უფრო მოიბუხა, გარინდებულად გაჭყვდა სახლში
შემაჯალ დედაკაცს, ამოიხრა და უკანვე უნდა წასულიყო,
რომ ამ დროს დაინახა აივანზედ გამოსული თავისავით
პატარა გოგო.

— მია..ი!..—გაუბედავად დაიძახა ისევ მან.

— რა გინდა თამრო?—აიხიდან ჩაეკითხა ჩამრკვალე-
ბული, ბუთხუსა მია და მედიდურად გადმოჭყვდა ღობეზედ
გადმოსავალთან მდგომ თამროს.

თამრომ ვედარაფერი უპასუხა, მერთალი ტუჩები აუთრთოლ-
და და მორცხვი, გაუბედავი გახედვის შემდეგ თვალები მიწას
დაამტერა.

— არ იცი რაც ენდომება? გააჭირეს საქმე!..—მოისმა
სახლიდან მიას დედის ბუზღუნი.

თამრო კი ადგილიდან არ იმეროდა.

მია ჩამოვიდა კიბეზე და ღობეს მიუახლოვდა.

— ჰური გინდა თამრო?—დამცინავად ჩაეკითხა იგი.

— არა...—გამტერებით წაიღუდღუდა თამრომ.

ცოტა ხანს სინუშე ჩამოვარდა, რომელსაც სახლიდან

მაიას დედის ბუსლენი და მთებიდან მონაქროლი ცივი ნიჟის სისინი არღვევდა...

— მამ რისთვის მოხველი? — ეშმაკურად, თვალების მოხუჭვით შეეკითხა კვლავ ცოტა ხნის შემდეგ მაია.

— სათამაშოდ... — მორცხვი ღიმილით მიუგო თამრომ და თვალები გაუბრწყინდა... — აი, მეცა შეავს კუკნი; წუსელი დიდედამ შემიკერა...

— აბა მაჩვენე, როგორი კუკნი გეა? — ღიმილით დაეკითხა მაია, ღობესე გადმოძვრა და თამროს დედოფალს სინჯვა დაუწყო.

— აი, შენ და თებრუამ გუშინ რომ არ მათამაშეთ თქვენთან — კუკნი არა გეავსო, ახლა სომ შეავს, არც ახლა მათამაშებთ, მაია... — კარგი კუკნი არ არი მაი?.. შენი კუკნისთანა კი არ არი, მაგრამ მაინც სომ მათამაშებთ — ჭაა?!. — ელანარაკებოდა თამრო მაიას, ვიდრე ის დედოფალს სინჯავდა. მაიამ გაათავა დედოფლის სინჯვა და ამხარტავენული ღიმილით უკანვე დაუბრუნა. თამრომ ხელა გამოართვა დედოფალს, ნაკუწები უფრო მაგრად მოახვია და თვალებში ჩაატყერდა ამხანაგს ჰასუსის მოლოდინში.

მაიამ კი ეშმაკურად და თან დამცინავად ჩაიკისკისა.

— მარტო ძველი კუკნი რომ შევანდეს — გეთამაშებოდი, მაგრამ მაძამ წუსელ ისეთი ფიგურა მომიტანა ქალაქიდანა, რომ... აი ახლავე განჩვენებ... წარმოსთქვა მაიამ, მიბრუნდა, გადაცოცდა ისევ ღობესე, გადაიჩბინა ესო და მალე დაბრუნდა თამროსთან, რომელიც ნადვლიანი გაკვირვებით ელოდებოდა მაიას.

— აი უუურე, როგორი ლამაზი, რბილი თმები აქვს... ნამდვილი თმებია, განა! სახეც ნამდვილი დასატული აქ. თვალებსაცა ჭხუჭავს, როცა ვაწვენ სოლმე — როცა ავაუენებ, — ისევ გაახელს სოლმე... აი უუურე... — სხანა-სხუპით



ლანარაკობდა მათა და თვალებიდან სულ სისარული სწავრ-
წკლები სცვიოდა. თამრო კი ნაღვლიანი სინჯავდა ქალა-
ქიდან მოტანილ მშვენიერ „ფიგურის“. სილამაზეს და რა-
ღაც გაუგებარი გრძნობა აწვებოდა უელში.

— ახლა მე უნდა თებრუსთან წავიდე და ჩემი „ფი-
გურაც“ თან წავიყვანო. — განზავობდა ტიკტიკს ლოყებ-
დაბრანული მათა... — თებრუსაც მოუყვანა თავისმა მამამ
ესეთი „ფიგურა“!.. ახლა სულ მე და ის ვითამაშებთ სოლმე...
აბა შენ როგორ გეთამაშო... შენი კუკნი ნაკუწისაა და ჩემი
კი... აბა უუურე რა ლამაზია... მანამ ამისთანა „ფიგურას“
არ მოგიყვანს შენი მამა, არ ვითამაშებთ ჩვენთან — არც მე
და არც თებრუა.



— ჰური ახლა გვაქ...
გუშინ მამამ მოიტანა...
ჩაფიქრებით წაჩურჩულა
თამრომ.

— ვაი ქის!.. — ტუჩების
ანრუწვით წარმოსთქვა ცო-
ტა ხნის სინუშის შემდეგ
ბუთხუზა მათამ და თამროს
დედოფალს ამაურად გა-
დაჭხედა. — დიახ!.. მაგ
დაჯღანებულ კუკნს ჩემ კოს-

ტა ფიგურას კვერდზე ძოუსომ... მამ!.. როგორ არა?!.. აბა
ამის ჭრელ კაბას უუურე... შენსას კი რაღაც ჭუჭუიანი, გა-
სუნებული მონქები აცვია.

თამრო ნაღვლიანად და თან შურით შეჭურვებდა დიდ,
მშვენიერ, ლამაზ დედოფალს და ისე უგდებდა მათს უურს.

— აი თუ შენი მამაც მოგიტანს ამისთანა ფიგურას,
მამინ გეთამაშებთ თუარა და არა, — გაუმეორა მათამ ალერ-



სიანად ხელი გადაუსვა „ფიგურას.. თმებზე, გულში ჩაიკრა, ღობეზე გადაძვრა და სახლისაკენ მხიარულად გაცუნცულდა.

თამრო კი უძრავად იდგა ერთ ადგილას და ძიანს განცქეროდა. როცა გოგონა თვალიდან მიეფარა, გულჩათუქულმა მწუსარებით, მძიმედ ამოიხვნეშა: იმედები დაემსხვრა საწვალს. წუხანდელმა სისარულმა სულ ამაოდ ჩაუნარა. გულზე ბოღმა აწვებოდა საბრალო გოგონას. თაყნაქინდრული, ნადვლიანი ხელა მოტრიალდა და სახლისაკენ გაემართა გულდაწვევტილი.

ჯერ ხელა მიდიოდა და გზის ჰირას მოსულ გამხმარ ბალახს ამტკერებოდა. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ, გზის ჰირას ჩამოჯდა, დედოფალა კალთაში ჩაიწვინა და სვედია-ნად დაუწყო ეურება. გულზე კი სულ მეტი და მეტი ბოღმა აწვებოდა... დიდხანს უცქეროდა საწვალის თამრო თავის დაღუპულ იმედს—დიდედანს მიერ წვითა და დაკვით შეკერილ დედოფალას და ბოლოს ორი მსხვილი ცრემლი მძიმედ ჩამოუგორდა ნადვლიან თვალებიდან გამხდარ და სიცვიისგან აბუსუსებულ ლოყებზე.

კარგა ხანს იჯდა ასე თამრო და ჩუმად სტიროდა.

ბოლოს მოაგონდა:—მამამ გუშინა სთქვა, რომ ქალაქში უნდა წავიდეთ!.. წამოვარდა ზეზე, გულში იმედის სხივი ჩაეფინა და ამიტომაც სწრაფად მოკურცხლა შინისაკენ. ჩრდილოეთის ნიაჟი კი უფრო ძლიერდებოდა და დიდ, ნაცრისფერ ღრუბლებს მოაკორებდა დიდი მთის იქიდან... ცა იკო-სებოდა, იქუშებოდა, და სათოვლე ჰირი უჩანდა.

გუგა ნარვილი.

(დასასრული ბა.)





თოვლის ბაბუა

(ბავშების სიმღერა)

შენ, ჩვენო თოვლის ბაბუა,
რა მძუნეური, კარგი ხარ!!..
ერთ ღვეტილზე ხარ უძრავად
რა არის, რომ არ დადიხარ?!

კისდება კრძელი ნაბადი,
ბოსოხი ბეწვებიანი,
ტანში სიმაგრეს მუდამ გრძნობ,
თუ დღე არ გიდგას მზიანი!..

სომ მოგწონს კარს შემოკრება
ბაბუავ, შენ, ბავშებისა?!
ჭირიმე შენი წვერების,
ფაფუკი უღვაშებისა!!!

კვითხარი თაყუ ზღაპარი!
მაშ, ზირი რად დაგიღია?
ჩვენი მიბეგვა სომ არ გსურს,
ეგ ჯოხი რომ აგიღია?..

რატომ არაუფერს არ აძობ?
 რატომ ხარ გულსუფიანი?
 აღბად გრძნობ, ძაღუ დადგება
 დღეები ნათელ — მზიანი!

სისქეს, სიძაღლეს დაკარგევ,
 სისუსტეს იგრძნობ, გახდები,
 დაგცვივა წვერი, უღვაძი,
 სულ ერთიანად წახდები!!

ილ. სიხარულიძე





ქამლეონი



მოს, შორს, რამოდენიმე ზღვის იქით, მზიან, ცხელ აფრიკაში, სადაც მდინარე ნილოსი წყნარად, აუჩქარებლივ მიმდინარეობს და ხანდახან კი გაბრაზებული აღიღდება.—არის ეგვიპტე.

აი, სწორედ ამ მხრიდან ჩამოიყვანა თინიკოს ძია გივიმ უცნაური ცხოველი ქამლეონი, რომელიც გარეგნულად ხელიკს წააგავდა, მაგრამ მისი უჩუთუთო თვალები, დიდი თავი და ფეხები, წყვილი, სქელი თითებით მოწმობდენ, რომ იგი ხელიკი არ იყო.

არ მკითხავეთ, პაწიებო, რა ფერისა იყო?

შეიძლება ითქვას სმწვანე, მაგრამ არა—მისი ფერი იმდენად ცვალებადი იყო, რომ ვაკვირვებით შეეკითხებოდით: „მრავალფეროვანია?“ „ღიად“ გიპასუხებდა ყველა, ვინც კი იცნობდა ამ ცხოველს. მის ტანზე ფერები ერთმანეთში ირეოდნენ, ლივლირვებდნენ, ციმციმებდნენ და ათასში ერთხელ თუ მოჰკრავდა ხოლმე თვალს პაწია თინა გარკვეულ ფერს.

— რა საძაგელი, უშნო სანახაობისაა—წამოიძახა თინამ და შიშით მოჰკიდა ხელი ცხოველს. მის ძმას, ლეოს კი სრულებითაც ხელი არ უხლია, მხოლოდ იკვირანად შეეკითხა ძია გივის:

— ძია გივი, იკბინება ეს ცხოველი?

— არა, არა, ნუ გეშინია. რისა გეშინია? აბა, უყურებ, თინამ როგორ დაიკიროს ხელში!

თინა გულადობით განთქმული იყო და, რომ არ დაენახებინა თავისი შიში პაწია ცხოველისადმი, თამამად

აიყვანა ხელში იგი. მისი ფეხები გაზს მოგაგონებდათ. უცებ ეს პაწია ცხოველი ფეხებით ჩაეჭიდა თინიკოს თითს, კუდიც ზედ შემოახვია და ზანტად ქანაზა დაიწყო.

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა, — გაღინხარხარა თინიკომ.

— რა მშვენიერია, როგორ ქანაობს! უყურეთ, უყურეთ! ის მხარე, რომელიც ელექტრონისკენ აქვს მიქცეული, სულ გაუყვითლდა. უჰ!... ახლა გაუშავდა. ალბად არ მოსწონს, არა, ძია?

ძია გვიმ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და შემდეგი სიტყვებით მიმართა თინას

— გოგონავ! მოუარე; სიტბო უყვარს. ხშირად წყალი დააღვეინე, თორემ უმაგისოდ ვერ გასძლებს. ბუზები, ქიყელები ან ხორცი აქამე. შენ არ მოგწონს, ლეო? მაშკ - გი. ეგ თინიკოსი იყოს და შენ კი აი ეს.

— ლეო სიხარულისაგან მაღლა ახტა: მას ბიძია გიცია ჯაყვა აჩუქა! აბა, წარმოიდგინეთ ჯაყვა! თინასაც კი, ის ხომ თორმეტი წლისაა, არა აქვს ჯაყვა და მას, რვა წლის ბიქს ჰეჭვი!

— ვაშა! ვაშა! მადლობელი ვარ, ძია გივი, მადლობელი, — წამოიძახა ლეომ და ოთახიდან გავარდა, რომ მებაღესთვის ეჩვენებია ძიას საჩუქარი.

— ივანეს უთხარი, ცოტა ხორცი გამოგატანოს; წვრილ-წვრილად დააქრევიანე. გესმის, ლეო? — მიაძახა თინამ.

— შვილო, უბალტოოდ და უკალოშოდ არ გახვიდე, თოვლ-ქყაბია — დაარიგა ლეომ.

— კარგი, კარგი, — გამოსძახა დერეფნიდან ლეომ, ჩაიცვა ერთიც, მეორეც და ივანეს ქოხისაკენ მოჰკურცხლა.

თინამ კი დაუწყო თამაშობა ქამელეონს; ხან თავში წამკრავდა თითს, ხან კუდს მოაფლებდა ხელს. საწყალი ცხოველი ძალიან გააბრაზა თინიკომ, ძალიან. იგი სიბრაზისაგან სულ გაშავდა, მერე სწვდა თინას თითს და უკბინა. თინამ ვერც კი შეამჩნია ცხოველის კბენა. ეს კი დაინახა, რომ იგი შავი იყო, უცბად გამოიცივალა თანდათან და ნელ-ნელა უფერული გახდა. აი ნეკნებიც გამოუჩნდა და... პაწია ქამელეონი სრულიად გამჭვირვალე გახდა.

— შეხედეთ! შეხედეთ! მამილო, დედიკო, ძია?!?

ყველანი გარს შემოეხვიენ თინას.

შეხე, ახლა დამშვიდდა და როგორი ფერადი ტანი აქვს. შენ მკითხე: სად ვიშოვნე? უფ... იქ, ეგვიპტეში, ყოველ ღუქანში ან სახლში ამანაირი ცხოველი ჰკიდია ჯოხზე. ნეტავი ზაფხული ყოფილიყო და ბუხები გვყოლოდა ამ ოთახში! მაგას ძალიან გრძელი, თათქმის თავის ტანის ოდენა ენა აქვს და ამ ენაზე წებოიანი სითხე. დაინახავს თუ არა ბუხს ან რაიმე მწერს, იმ წამსვე ელვის სისწრაფით გამოჰყოფს ენას (მიზნის აღება მშვენივრად იცის) წამიც—და მწერი მის პირშია, და სწორედ იმიტომ, რომ ეგვიპტეში ბუხი ბევრია, იქაურები თავის სადგომებში ქამელეონებს ჰკიდებენ.

— ჰეი, ჰეი! აი ხორციც, ხორცი მოვიტანე—ყვირილით შემოვარდა ლეო და ქალაქში გახვეული წვრილად დაჭრილი ხორცი თინიკოს კალთაში ჩაუგდო, — იცით, რა მითხრა ივანემ? ამისთანა დანა მთელ ქვეყანაზე არავის ჰქონიაო—ძალიან მახვილი და ლამაზიაო. ეგ კი რასა ჰგავს!... ფუ... თინიკო, მე არ მომწონს შენი ქამელეონი! ფუ, რა საძაგელია!—აბრაზებდა დას ლეო.

— თავი დამანებე, ხორცი უნდა ვაჭამო. ძია გივი! მოშვიდა არა, ქამელეონს?—შეეკითხა თინა ძიას.

— არ ვიცი! მაგის გაგება ძნელია. მაგ ცხოველს შეუძლია თვეობით უქმელი დარჩეს და არაფერი შეეცუბა. უწყლოდ კი რამოდენიმე საათსაც ვერ გასძლებს. წყალი მუდამ უნდა. ბევრს ნუ აქმევ, არ ვარგა; ეგ ისეთი ზანტია და მასთან გაუმძღარი, რომ რაც გინდა ბევრი აჭამო, თუ წყალნაწავამია, ვერასგზით ვერ გააძლებ.

იმ დღეს ბევრი იმხიარულა თინიკომ, სულ ქამელეონის ფერთა ცვლას უყურებდა. როცა დაღამდა და ძილის დრომ მოაწია, თინამ პაწია კალათი გამონახა, შიგ ბამბა ჩაუგო ქამელეონს, ზევიდან თავის ტიკინის საბანი დაახურა და ოთახში მაგიდაზე დადგა. იმ დღეს ბევრი ახალი ამბავი გაიგეს, ბევრი იცვლქეს, ასე რომ თბილი ოთახი, მოლალანე ბუხარი და ლოგინი მათთვის სამოთხეს წარმოადგენდა.

— თინა, შენი ცხოველი აქ უნდა იყოს?—შეეკითხა ლეო.

— მაშ, ძია გივიმ სთქვა, რომ აუცილებლად თბილად უნდა იყოს, თორემ შესცივდებაო.

— მერე, ლოგინში რომ შემოგიძვრეს?

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა! რა სულელი ხარ მას, ალბად უკვე

სძინავს. მეც მეძინება, თავი დამანებე.—სთქვა თინიკომ გადაბრუნდა თავის ლოგინში და რამოდენიმე ხნის შემდეგ ტკბილად ჩაიძინა

ლეოს კი ძილი არ ეკარებოდა: ძალიან ეშინოდა იმ საძაველი ქამელეონის. კიდევ კარგი, რომ ანთებულ ბუხრის გამო, კალათი მოსჩანდა მაგიდაზე. უცებ ლეოს ტანში ქრუანტელმა დაუარ: კალათის თავი აიხადა და ისევ დაეცა. ფრთხილად მიეპარა ლეო კალათს, დაავლო ხელი და დერეფანში გაიტანა: „უუ, რა ცივა... არა უშავს, ბაშბებშია შეხვეული“ — გაიფიქრა მან და ფანჯარაზე დადგა კალათი, შემდეგ შემოვიდა ოთახში. დაჰხედა თინას. „მეც უნდა დავიძინოო“ სთქვა, კიდევ ნახა, კარგად არის თუ არა კარები მიკეტილი და სიამოვნებით ჩაგორდა თავის ლოგინში. ერთი კი გაიფიქრა: „ნეტავი თინა არ გამიჯავრდება-ო?“, და ტკბილ ძილს მიეცა.

გათენდა. ფანჯრის მინებზე მიმხმარყო ყინულის წვეთები. ძალიან ციოდა, ისე ციოდა, რომ გარედ მყოფ ადამიანს სიცივისაგან ცრემლები ჩამოსდიოდა. თინიკოს, გამოეღვიძა თუ არა, გაახსენდა პაწია ცხოველი და ისევ მზიარული, როგორც წინა დღით, მიადგა მაგიდას, მაგრამ იქ აღარაფერი იყო!

— ლეო, ლეო! გაიღვიძე, ლეო!

— ჰა, რა გინდა? გიკბინა? გიკბინა? შენმა ცხოველმა? აბა სად?

— არა, არა! სად არის კალათი?

— კალათი! კალათი მე დერეფანში გავიტანე იგი კინალამ ამო....

ლეოს დანარჩენი სიტყვები აღარ გაუგონია თინას: შევარდა დერეფანში, დაინახა ფანჯარაზე კალათი, მივარდა, ახადა თავი, მაგრამ შიგ ქამელეონი ვერ იპოვნა. აიხედ-დაიხედა და... დაინახა ფანჯრის მინაზე მიყინული პაწია ცხოველი. საბრალო! ღამე ამომძვრალიყო. ნელა მოაშორა უსულო ცხოველი მინას და მწარედ, მწარედ აქვითინდა... მოვიდა დედა, მამა, ძია, ლეოც.

— რათ, რათ წაპოიღე აქეთ, ლეო? რათ? შე... შე.. მში... შა... რავ... — ტიროდა თინიკო.

ლეო დარცხვენით ხელში ატრიალებდა ნაჩუქარ დანას. დედა კი თინას ამშვიდებდა.

— გაიყინა, საწყალი ცხოველი!

— დიად.—დაეთანხმა ძია გივი.

— რად, რად ჩამოიყვანე აქ, ამ უცხო ქვეყანაში, ძია გივი?
 რად მომიყვანე ეს საჩუქრად? საწყალი ქამელეონი, საწყალი.

— მაპ.ტიე, თინა, მეტს აღარ ვიზამ—ეუბნებოდა შეწუხებული ლეო... აი, თუ გინდა ჩემი დანაც შენი იყოს. ივანემ სთქვა ამის...

— რად ჩამოიყვანე ქამელეონი, ძია, რად?—ქვითინებდა პაწია თინიკო...

დიომიდე ანთაძე.

ღამე სოფლად

ქათმებმა დაისაბუდრეს,

ქანდარა დაისაკუთრეს,

მოვიდა ბინდი...

ცუცხლი გაჩაღდა ბუსარში,

ბებიამ ძველ სადღუდარში

ჩაღესა შვინდი...

ხელები შეევეს საჯამეს,

ზაზას სამარხვო აჭამეს,

ჩვენ დო, მაწონი,

კამეჩებს მისცეს ფუჩი,

გოგოებს მატული საჩეჩი,

ვერ მოსაწონი...

ქარი დაუხდა კრდოში,

ძველი აღძვდა ფერდოში,

მაჯნე და ცუდი.

მურა წამოწვა თოვზე,

შიძის სამეუფოზე

გამაბა კუდი...


მამიდამ ზღმარტლი და ჰანტა
 გუდიდან ტანტზე დაფანტა—
 შეიქმნა ფხოჭა..
 ბუბიამ გრძელი მუთაქა
 სოლიკოს ზურგში უთაქა:
 ბევრი მობოჭა...

მამამ ფანდურზე დასძახა,
 დარბაზი ააცახცახა
 იმ სიმღერითა:

„ხვეუმი წისკვილი ეიოდა,
 „სიმშილი თურმე სტკიოდა,
 განა ბორბალი;
 „წული დარს ეძალებოდა,
 „დოლაბი ეწვებოდა,
 განა სორბალი!“

საძილედ მომზადდა ეველა.
 ჭრაქის გარს თეთრი ჰეჰელა
 დაფრენდა მარტო...

ვ. ბუქიშვილი.



ბავშვის შემოქმედება

დილა ნაძვის ტყეში

მზე გვიან ამოვიდა მას არ ჰქონდა სიცხო-
ველე და სილამაზე: ზამთარი იყო

ბელურებმა და შაშვებმა გამოიღვიძეს და კრი-
ამული დაიწვეს. ეს კრიამული ისეთი წარმტაცი
იყო, რომ მთელი ტყე უურს უადებდა.

ამ დროს მოისმა რაღაც სმაურობა. ეს მოხდა
შობის წინა დღეებში. აქვე მახლობლად იღვა
ნაძვი და შწარედ სტიროდა. მის გვერდით იღვა
ფიჭვი, რომელიც ნაძვს ამხნევებდა. ამ დროს მო-
სრიალდა მარხილი, რომელზედაც რამდენიმე ნაძვი
იყო. ისინიც შწარედ სტიროდენ, რომ შორდებოდენ
თავის სამშობლოს ლამაზ ადგილებს, თავის
დედებს და შვილებს.

მარხილი ნაძვთან გაჩერდა. ნაძვმა დაიწყო
ტირილი და გადაიხარა ფიჭვისკენ, თითქოს შუე-
ლას თხოვდა. მარხილი დაიძრა და წავიდა.

ნაძვმა შესწევითა ტირილი და ალერსით
გადასება ადამიანს, რომელმაც შეიბრალა და
საუვარელ ადგილებს არ მოამორა.

ზამთარი

8

ამთარო, ჩქარა მოგვმორდი,
ნულარ ატირებ ხალხსაო,
შენს შემდეგ გაზაფხულია,
კვლავ აამწვანებს ბაღსაო.

გაიფურჩქნება ვარდებიც,
ეველა დაიწვებს ხვნასაო,
გაუინაჯარდვით ბაშუებიც,
შევაძკობთ მთა და ბაღსაო

ტყეშიაც წავალოთ ევაგილზე.
დავკრფეთ უაუჩოს, ვარდსაო,
ხალამოს ისევ ბინდისას
კვლავ მივადგებით სახლსაო.

ზ. ციციშვილი.





ჩპარა გამოსათქმელი

ახტა, წავიდა ჩოჩეთი, აწ რა ვქნათ
უჩოჩეთოთა.

ახირებული კითხვები

- 1) რომელ თვეში უფრო ცოტასა სქამს
აღამიანი?
- 2) რამდენი კვერცხი შეგიძლია შექამო უზმოდ?

გამოსაცნობი კვადრატი



ამ კვადრატებში ჩასწერეთ ოთხი
ასო ისე, რომ გამოვიდეს ბალა-
ხის სახელი.

როგორ იღვენ ცხვრები


მინდორში იღვა ორი ცხვარი ისე, რომ ერთი უცქეროდა
ჩრდილოეთს და მეორე კი სამხრეთს.

როგორ გგონიათ თქვენ, მოუტრიალებლად, ან კისერის
მოუხრებლად, როდის დაინახავენ ისინი ერთმანეთს?

სახუმარო ამოცანა

ქალაში ერთი საათის განმავლობაში სძოვდა ორი ერთი-
ჯიშის და ერთნაირი მადის ცხენი; ერთი ერთმანეთისგან გა-
ნირჩეოდნენ მხოლოდ იმითი, რომ ერთი უკულო იყო.

რომელში ამოთავსებდა შექამა უფრო მეტი ბალახი, თუ
ორივემ ერთმან და იმავე დროს დაიწყეს და გაათავეს ბალახის
ჭამა!



ვანათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ
ართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელო-
ბით გამოცემულ წიგნების სია:

(ფასები ჩერვონცებით).

	ფასი
1. „ნაკადული“ 1921 წ. №№ 1922 წ. №№ თითო წიგ. 25 კ.	
2. „ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. 1923 წ. №№ „ „ 40 „	
3. „ნორჩი ძალა“ — კრებული 15 „	
4. „სამი ამბავი“ — შიო მღვიმელისა 10 „	
5. „კოკროკინა“ — დ. ღონღუასი. 10 „	
6. „ბელა ბეკეკა“ „ „ 10 „	
7. „შემოდგომა“ — ფერად-სურათებიანი წიგნი . . . 70 „	
8. „ღედამერი, ტურა და მელია კუდი გრძელია“ . 50 „	
9. „ბავშებს“ — ლექსები გ. ქუჩიშვილისა. 20 „	
10. „ტყის ზღაპარი“ — მამინ სიბირიაკისა, თარგ. . . 20 „	
11. „ტყის სურათები“ — შიო მღვიმელისა 25 „	
12. „ქიანქველას საოცარი თავგადანსავალი“ 30 „	
13. „თავისუფალ ბავშვთა სიმღერები“ 2 „	
14. „ქართული მოძრავი თამაშობანი“ 80 „	
15. „ტროადის ომი“ — ბლ. მიქაბერიძისა 80 „	
16. „ივანე-არაკნი“ — ბლ. მირიანაშვილისა 30 „	
17. „საბავშვო პიესათა კრებული“ 70 „	
18. „ივანე სულელი“ — ზღაპარი. ლ. ტოლსტოისა 15 „	
19. „ლურჯი ფრინველი“ 50 „	
20. მოძრავი თამაშობანი სიმღერებით, — გოგლაჩიძისა 1 მ.	
21. ოვიდიუსის მეტამორფოზები, — მიქაბერიძის 70 კ.	
22. „ზამთარი“ — ფერადი სურათებით. 50 „	
23. „უძველესი დროის ბავშვის თავგადანსავალი“ . . . 45 „	
24. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“ 25 „	
25. გაზაფხული და ზაფხული	

1924 წ.

მიიღება ხელის მოწერა საემბრონო დასურათებულ
უოგელთვიურ ქურნალებზე:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ მე-XX წ.

მოზრდილ. „წითელი სხივი“

ხელის მოწერა მიიღება თვითრად.

ცალკე: „ნაკადული“ 25 კ.
„წითელი სხივი“ 40 კ.

ქალაქ გარედ გავზავნა ხელის მოწერის ხარჯზე.

მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5. განათ-
ლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულის“ და „წითელი
სხივის“ რედაქცია.

რედაქციაშივე შეიძლება სიაში ჩამოთვლილ წიგნების შექენაც.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
